საქართველოს ცესკომ საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო ოფიციალური შედეგები გამოაცხადა

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 27 ოქტომბერს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო ოფიციალური შედეგები გამოაცხადა.

კოალიცია "ქართული ოცნების" კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ხმათა 62,12%-ის დაგროვებით პრეზიდენტი გახდა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ 21,72%, "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ კი 10,19% დააგროვა.

მარგველაშვილი 17 ნოემბერს ინაუგურაციის ცერემონიის შემდეგ თანამდებობას ოფიციალურად დაიკავებს.